

ალტერნატიული ენერჯის წყაროები - თანამედროვე გამოწვევა საქართველოსთვის

ილია კალანდაძე

ელ.ფოსტა: ilia.kalandadze@ens.tsu.edu.ge;

*გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი*

თანამედროვე მსოფლიოში მეტად იზრდება ენერჯის ალტერნატიულ წყაროების გამოყენება. ენერჯის ალტერნატიული წყარო უნდა იყოს განახლებადი, ნაკლებად აბინძურებდეს გარემოს და, რაც მთავარია, აგვარებდეს საწვავის პრობლემას, ამიტომ მსოფლიოს მრავალი ქვეყანა გარემოსდაცვითი პოლიტიკის გაუმჯობესების და ამოწურვადი რესურსების შენარჩუნების მიზნით დიდ ყურადღებას აქცევს მზის, ქარის, წყლისა და გეოთერმული ენერჯის გამოყენებას.

საქართველოში არსებობს თითქმის ყველა სახის განახლებადი ენერჯეტიკული რესურსების მნიშვნელოვანი პოტენციალი. სპეციალისტთა შეფასებით რეალურად მიღწევადი ენერჯეტიკული პოტენციალი უტოლდება 10-15 მილიარდ კილოვატსაათს (ტერავატსაათს) ან შესაბამისად, დაახლოებით 1 მილიონ ნავთობის ტონის ექვივალენტს, რაც ენერჯის დღევანდელი სრული მოხმარების დაახლოებით 30% შეადგენს. სადღეისოდ ამ პოტენციალის ძალზე მცირე ნაწილია ათვისებული. განახლებადი ენერჯორესურსების წილი საქართველოს მთლიან ენერჯეტიკულ ბალანსში მოკრძალებულია. მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების (<10მვტ) მიერ გენერირებული ელექტროენერჯის წილი კი ელექტროენერჯის ჯამურ გენერაციაში დაახლოებით 3%-ს შეადგენს.

ენერჯის განახლებადი წყაროების (ეგწ) განვითარების პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას, ოფიციალური სტრუქტურების ამოცანაა, საბაზრო ძალების ეკონომიკური რეგულირებით, მომხმარებლების, კერძო მეწარმეების და მთელი საზოგადოების ინტერესების ოპტიმალური შეხამებით, საუკეთესო პირობები შექმნას საქართველოში ენერჯის განახლებადი პოტენციალის ათვისებისთვის. ამ ამოცანის გადაწყვეტას ესაჭიროება სახელმწიფოს ხელთ არსებული პოლიტიკის ინსტრუმენტების გონივრული და კარგად გათვლილი ამოქმედება.